სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

18 ნოემბერი 2025

N 712/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში შპს „პარვუს ბასრა“-ს „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „პარვუს ბასრა“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდა, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2024 წლის 29 ოქტომბერს სააგენტოს მიერ გაცემულია „ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, შპს „პარვუს ბასრას“ „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდაზე, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ №611/ს ბრძანება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, მდინარე ბჟუჟას ხეობაში, განთავსებულია 12,53 მეგავატი სიმძლავრის „ბასრა 1“, 9,34 მეგავატი სიმძლავრის „ბასრა 2“, 4,15 მეგავატი სიმძლავრის „ბასრა 3“ და 3,32 მეგავატი სიმძლავრის „ბასრა 4“ ჰესები, შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ინფრასტრუქტურით. ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის „ოზურგეთი-ზოტი“ ჰესის 110 კვ ძაბვის ქსელში ჩართვის მიზნით გათვალისწინებულია არსებული 10 კვ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის ძაბვის 35 კვ-მდე გაზრდა, არსებული საკაბელო ხაზის საპროექტო 110 კვ ქვესადგურამდე დაგრძელება/გაყვანა და ახალი 110 კვ ქვესადგურის მოწყობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულმა ჰესებმა, მშენებლობისა და ოპტიმიზაციის ფაზაზე, გარკვეული ცვლილებები განიცადა. კერძოდ, „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების სათავე ნაგებობების, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენების და ჰესის შენობების, ასევე მათი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ადგილმდებარეობები, პარამეტრები და კონფიგურაციები დაზუსტდა. აღნიშნული ცვლილებები საქმიანობის გზშ-ის ანგარიშით შესწავლილ არეალში განხორციელდა და ჰესების დადგმული სიმძლავრეების, ეკოლოგიური ხარჯების რაოდენობების, ძირითადი ინფრასტრუქტურული ერთეულების და მათი რაოდენობების ცვლილებასთან დაკავშირებული არ ყოფილა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია ხვდება სახელმწიფო ტყეში, ხოლო მითითებული ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 800 მეტრით. ამასთან, მონაცემთა გადამოწმებით, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია კვეთს ვაკიჯვრის მადნიანი ველის (ოქრო, სპილენძი, პოლიმეტალები) კონტურს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობით, „ბასრა 1“ ჰესის სათავე კვანძი მოწყობილია მდინარე ბჟუჟაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 1124-1130 მეტრ ნიშნულზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-261587 Y-4634065). სათავე კვანძი წარმოადგენს რკინაბეტონის ფიქსირებულ ნაგებობას, გვერდითი წყალმიმღების ეკრანით. მისი შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: დამბა (სიგანე 6,3 მეტრი; სიმაღლე 3,5 მეტრი), წყალმიმღები (სიგანე 9 მეტრი; სიმაღლე 1,70 მეტრი), სალექარი (9x7x24 მეტრი) და „გასასვლელი აუზების“ 10-საფეხურიანი თევზსავალი. სათავე კვანძზე თევზამრიდის ფუნქციას ასრულებს 20 მილიმეტრი სიგანის უჯრედის ზომის ლითონის ცხაურები, საიდანაც ერთი განთავსებულია წყალმიმღების შესასვლელში, ხოლო მეორე – სალექარში და გამორიცხავს თევზების სადაწნეო სისტემაში მოხვედრის ალბათობას. სათავე კვანძი ასევე შედგება დამატებითი შემგროვებელი კამერისგან, რომელიც განთავსებულია „ბასრა 2“ ჰესის საგენერატოროს ფუნდამენტში და საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს „ბასრა 2“ ჰესის გამონამუშევარი წყლის შეგროვებას და „ბასრა 1“ ჰესზე გადამისამართებას. „ბასრა 1“ ჰესის წყალსატევის შეგუბების მოცულობა ნორმალური შეტბორვის პირობებში 392 $მ^3$-ს შეადგენს, ხოლო წყალსატევის სარკის ზედაპირის ფართობი 261 $მ^2$-ის ტოლია. დამბის ზედა ბიეფში შექმნილი შეგუბება მდინარის კალაპოტს არ სცდება. „ბასრა 1“ ჰესის შემადგენლობაშია სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი, რომელიც სათავე კვანძიდან წყალს აწვდის „ბასრა 1“ ჰესის შენობას და მისი სიგრძე 2132 მეტრს, ხოლო დიამეტრი 1200 მილიმეტრს შეადგენს. „ბასრა 1“ ჰესის ძალური კვანძი, სადაც მოწყობილია 6,29 მგვტ და 6,24 მგვტ სიმძლავრის პელტონის ტურბინები, ზღვის დონიდან დაახლოებით 726 მეტრ ნიშნულზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-260979 Y-4635435) მდებარეობს. „ბასრა 1“ ჰესის ძალური კვანძის განთავსების ადგილი წარმოადგენს „ბასრა 3“ ჰესის შენობას. „ბასრა 1“ ჰესიდან მდინარეში წყალი ბრუნდება გამყვანი არხის მეშვეობით, რომელიც განკუთვნილია მაქსიმუმ 4 $მ^3$/წმ ხარჯის გატარებისთვის. გამყვანი არხიდან მდინარეში წყლის ჩაშვების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-260946.90 Y-4635424.52. გამომუშავებული ენერგიის გენერირების მიზნით „ბასრა 1“ ჰესის სააგრეგატო შენობა აღჭურვილია 10-35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობით, „ბასრა 2“ ჰესი შედგება ორი სათავე კვანძისა (№1 და №2) და ერთი სალექარისგან (6x5,10x32 მეტრი). სათავე კვანძები მოწყობილია მდინარე ბჟუჟასა და მის მარჯვენა შენაკადზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 1515-1522 მეტრ ნიშნულზე. №1 სათავე კვანძის განთავსების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-263567 Y-4632506, №2 სათავე კვანძის – X-263459 Y-632834, ხოლო სალექარის – X-263310 Y-4632730. სათავე კვანძები წარმოადგენს რკინაბეტონის ფიქსირებულ ნაგებობებს, ტიროლის ტიპის წყალმიმღებით. №1 სათავე კვანძის შემადგენელი ძირითადი ობიექტებია: წყალსაგდები დამბა (სიგანე 7 მეტრი; სიმაღლე 4,4 მეტრი), წყალმიმღები/შემგროვებელი კამერა (სიგრძე 7 მეტრი; სიგანე 1,5 მეტრი) და „გასასვლელი აუზების“ ტიპის 10-საფეხურიანი თევზსავალი. №2 სათავე კვანძის შემადგენელი ძირითადი ობიექტებია: წყალსაგდები დამბა (სიგანე 6 მეტრი; სიმაღლე 2,3 მეტრი), წყალმიმღები/შემგროვებელი კამერა (სიგრძე 6 მეტრი; სიგანე 1,5 მეტრი) და „გასასვლელი აუზების“ ტიპის 8-საფეხურიანი თევზსავალი. სათავე კვანძებზე თევზამრიდის ფუნქციას ასრულებს 20 მილიმეტრი სიგანის უჯრედის ზომის ლითონის ცხაურები, რომლებიც განთავსებულია როგორც სათავე კვანძების წყალმიმღებების შესასვლელებში, ისე საერთო სალექარში და გამორიცხავს თევზების სადაწნეო სისტემაში მოხვედრის ალბათობას. წყალსატევის შეგუბების მოცულობა, ნორმალური შეტბორვის პირობებში, №1 სათავე ნაგებობისთვის 671 $მ^3$-ს, ხოლო №2 სათავე ნაგებობისთვის 213 $მ^3$-ს შეადგენს. წყალსატევის სარკის ზედაპირის ფართობი №1 სათავე ნაგებობისთვის 559 $მ^2$-ის, ხოლო №2-თვის 133 $მ^2$-ის ტოლია. „ბასრა 2“ ჰესის შემადგენლობაშია სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი, რომელიც სათავე კვანძებიდან, საერთო სალექარის გავლით, წყალს აწვდის „ბასრა 2“ ჰესის შენობას და მისი სიგრძე 3380 მეტრს, ხოლო დიამეტრი 1200 მილიმეტრს შეადგენს. სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი ერთ ადგილზე კვეთს მდინარე ბჟუჟას

გვერდითა შენაკადს, სადაც მოწყობილია სათანადო სტანდარტის გადაკვეთა, რკინაბეტონის ანკერებით. „ბასრა 2“ ჰესის ძალური კვანძი (23x13 მეტრი), სადაც განთავსებულია 6,24 მგვტ და 3,1 მგვტ სიმძლავრის პელტონის ტურბინები, ზღვის დონიდან დაახლოებით 1128,60 მეტრ ნიშნულზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-261410 Y-4634100) მდებარეობს. „ბასრა 2“ ჰესიდან მდინარეში წყალი ბრუნდება თითოეული ტურბინისთვის გათვალისწინებული გამყვანი არხის მეშვეობით, რომელიც განკუთვნილია მაქსიმუმ 3 $მ^3$/წმ ხარჯის გატარებისთვის. გამყვანი არხიდან მდინარეში წყლის ჩაშვების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-261384 Y-4634047. გამომუშავებული ენერგიის გენერირების მიზნით ძალური კვანძი აღჭურვილია 10-35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორებით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობით, „ბასრა 3“ ჰესის სათავე კვანძი მოწყობილია მდინარე ბჟუჟას მარცხენა შენაკადზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 925-932 მეტრ ნიშნულზე. სათავე კვანძი წარმოადგენს რკინაბეტონის ფიქსირებულ ნაგებობას, გვერდითი წყალმიმღების ეკრანით. მისი შემადგენელი ძირითადი ობიექტებია: დამბა (სიგანე 10 მეტრი; სიმაღლე 4,90 მეტრი), წყალმიმღები (სიგანე 7 მეტრი; სიმაღლე 3,60 მეტრი), სალექარი (6x5x32 მეტრი) და „გასასვლელი აუზების“ ტიპის 10-საფეხურიანი თევზსავალი. სათავე კვანძზე თევზამრიდის ფუნქციას ასრულებს 20 მილიმეტრი სიგანის უჯრედის ზომის ლითონის ცხაურები, საიდანაც ერთი განთავსებულია წყალმიმღების შესასვლელში, ხოლო მეორე – სალექარში და გამორიცხავს თევზების სადაწნეო სისტემაში მოხვედრის ალბათობას. „ბასრა 3“ ჰესის წყალსატევის შეგუბების მოცულობა, ნორმალური შეტბორვის პირობებში, 1678 $მ^3$-ს შეადგენს, ხოლო წყალსატევის სარკის ზედაპირის ფართობი 685 $მ^2$-ის ტოლია. „ბასრა 3“ ჰესის შემადგენლობაშია სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი, რომელიც სათავე კვანძიდან წყალს აწვდის „ბასრა 3“ ჰესის შენობას და მისი სიგრძე 1544 მეტრს, ხოლო დიამეტრი 1000 მილიმეტრს შეადგენს. სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი გადის მდინარის მარჯვენა ნაპირზე მოწყობილ მისასვლელ გზაზე და კვეთს მდინარე ბჟუჟას, სადაც მოწყობილია სათანადო სტანდარტის გადაკვეთა, რკინაბეტონის ანკერებით. „ბასრა 3“ ჰესის შენობა (38x23 მეტრი), სადაც განთავსებულია 4,15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ორმაგი ჭავლისებრი ტურბინა, ზღვის დონიდან დაახლოებით 726 მეტრ ნიშნულზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-260979 Y-4635435) მდებარეობს. „ბასრა 3“ ჰესიდან მდინარეში წყალი ბრუნდება გამყვანი არხის მეშვეობით, რომელიც განკუთვნილია მაქსიმუმ 3 $მ^3$/წმ ხარჯის გატარებისთვის. გამყვანი არხიდან მდინარეში წყლის ჩაშვების მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-260946.90 Y-4635424.52. გამომუშავებული ენერგიის გენერირების მიზნით „ბასრა 3“ ჰესის სააგრეგატო შენობა აღჭურვილია 10-35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ის ანგარიშით და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ჰიდროლოგიური მახასიათებლების, ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობის, ასევე „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების დადგმული სიმძლავრის და მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებული არ ყოფილა, აღნიშნული ცვლილებით წყლის რესურსებზე ზემოქმედება, საბაზისო პროექტთან მიმართებით, არ შეცვლილა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების მშენებლობა დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტების მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით განხორციელდა. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრული იყო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ხოლო საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გეოლოგიურ გარემოზე დამატებით ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, შპს „პარვუს ბასრა“ საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვას ახორციელებს 2024-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე საქართველოს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების შეცვლილი ადგილმდებარეობები გზშ-ის ეტაპზე დეტალურად შესწავლილ არეალში ხვდება, ხოლო გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყო ჰესებისა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებული იყო ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება და განსაზღვრული იყო შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. საქმიანობის ფარგლებში ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დეტალური ტაქსაციის/ტყეკაფის აღრიცხვის საფუძველზე განხორციელდა. რაც შეეხება საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებს, „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების ტერიტორიაზე „წითელი ნუსხის“ სახეობების მოჭრის საჭიროება არ ყოფილა.

ვინაიდან მონაცემთა გადამოწმებით საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია კვეთს ვაკიჯვრის მადნიანი ველის (ოქრო, სპილენძი, პოლიმეტალები) კონტურს, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს საქმიანობა იმ პირობით, თუ მომავალში, მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მერიებში, მუნიციპალიტეტების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ვინაიდან საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გზშ-ის ეტაპზე დეტალურად შესწავლილ არეალში განხორციელდა, რომლითაც „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ ჰესების სათავე ნაგებობების, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენების და ჰესის შენობების, ასევე მათი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ადგილმდებარეობები, პარამეტრები და კონფიგურაციები დაზუსტდა, აღნიშნული ცვლილებები გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ ყოფილა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp ფაილებში „ბასრა 1-3“ და „ბასრა 2“ ჰესების შენობებიდან მდინარეში დასაბრუნებელი წყლის გამყვანი არხები, ასევე სადერივაციო-სადაწნეო მილსადენების დაცვის ზონა (ბუფერი) წარმოდგენილი არ არის. ამასთან, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, სახელმწიფო ტყეში მოხვედრილი ტერიტორიის შესწავლის და ფართობების ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში წარსადგენია პოლიგონური shp-ფაილები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში შპს „პარვუს ბასრა“-ს „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენას **არ საჭიროებს**;
2. შპს „პარვუს ბასრა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2024 წლის 29 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №611/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „პარვუს ბასრა“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს დაზუსტებული shp-ფაილების სააგენტოში წარმოდგენა;
4. შპს „პარვუს ბასრა“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმება;
5. შპს „პარვუს ბასრა“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს იმგვარად, რომ მომავალში მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდოს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა;
6. შპს „პარვუს ბასრა“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2024 წლის 29 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №611/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პარვუს ბასრა“-ს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პარვუს ბასრა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/712-21-4-202511182041

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •